პრეს - რელიზი 20/06/2019

წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციის ცენტრი „ემპათია“ს (RCT/EMPATHY) განცხადება საქართველოს პარლამენტში ოკუპანტი ქვეყნის წარმომადგენლობასთან დაკავშირებით

სამწუხაროდ, მიუხედავად მცოცავი ოკუპაციის, აგრესიისა და ადამიანის უფლებათა უხეში დარღვევებისა ოკუპირებულ და პარა - ოკუპირებულ ტერიტორიებზე, საქართველოს ხელისუფლების ლოიალური პოლიტიკა რუსეთის საოკუპაციო ხელისუფლებისადმი დაუშვებლად მიგვაჩნია.

კოლაბორაციულმა პოლიტიკამ იქამდე მიგვიყვანა, რომ საქართველოს პარლამენტში ადამიანის უფლებათა უხეში დამრღვევი საოკუპაციო რეჟიმის დეპუტატები აღმოჩნდნენ.

ვფიქრობთ, ამ ფაქტზე უნდა მოხდეს მკაცრი საზოგადოებრივი რეაგირება საყოველთაო პროტესტის სახით, უმართავი პროცესის თავიდან აცილების მიზნით, აუცილებელად მიგვაჩნია:

1) **რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების დანიშვნა**
2) **არჩევნებამდე საარჩევნო კოდექსის ძირეული ცვლილება, რაც ასევე მოიცავს საარჩევნო კომისიების ცვლილებასაც.**

ცენტრ „ემპათია“-ს წლების განმავლობაში ოკუპირებულ და პარაოკუპირებულ ზონებში დაზარალებულმა ათასობით ადამიანმა მიმართა დახმარების მიზნით. ცენტრი „ემპათია“ ახორციელებს ჰოლისტურ ინტერვენციას არჩილ ტატუნაშვილისა და ირაკლი კვარაცხელიას ოკუპირებულ ტერიტორიაზე მკვლელობის ფაქტებთან დაკავშირებით.

საქართველო, თბილისი 0160, კანდელაკის ქ. N23
23 Kandelaki Str. Tbilisi 0160, Georgia. Phone: (+995 32) 238 10 15.
“Hot Line” : +995599 885468/28
Fax: (+995 32) 238 10 33 **VAT: 211322200** E-mail: centre@empathy.ge